

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №8
2020 წლის 30 ივნისი

ქ. ახალქალაქი

„ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 იანვრის №11 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

მუხლი 1

დამტკიცდეს „ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 22 იანვრის №11 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 29/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.141.016237) შეტანილი შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების დანართის მე-13 მუხლის 1-ლი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1.მერის წარმომადგენელი არის ადმინისტრაციულ ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, რომელს საჯარო სამსახურში მიიღებს მერი“.

ბ) დადგენილების დანართის მე-13 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:“

2. მერის წარმომადგენელი სამსახურში მიიღება მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში არაუმეტეს მუნიციპალიტეტის მერის უფლებამოსილების ვადისა“.

გ) დადგენილების დანართის მე-14 მუხლის პირველ პუნქტს დაემატოს „გ“ ქვეპუნქტი შემეგი შინაარსის:

„გ) ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი – პირი, რომელიც სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის პირს ხელს უწყობს მისი უფლებამოსილებების განხორციელებაში დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურტექნიკური დახმარების გაწევით ან/და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით და რომელსაც არ უკავია „საჯარო სამსახურის შესახებ“ კანონით მოხელისა და შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირისთვის გათვალისწინებული თანამდებობები“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ახალქალაქის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ნაირი ირიცან

